

Image not found or type unknown

საია პირადი ცხოვრების ამსახველი მასალის გავრცელების ფაქტებზე სამართალდამცავთა რეაგირებას კრიტიკულად აფასებს

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია ეხმიანება პირადი ცხოვრების ამსახველი ვიდეოს გავრცელების ფაქტზე კიდევ ერთი პირის დაკავების [შემთხვევას](#). აღსანიშნავია, რომ დაახლოებით 2 თვის წინ, ასევე პირადი ცხოვრების ამსახველი ვიდეოჩანაწერების შენახვისა და მასობრივი გავრცელების ფაქტზე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ 16 პირი [დააკავა](#).

საია მიიჩნევს, რომ სამართალდამცავთა მხრიდან განხორციელებული ქმედებები ქმნის პირადი ცხოვრების ამსახველი მასალის გავრცელების წინააღმდეგ ბრძოლის ილუზიას, რამდენადაც, სავარაუდოდ არ ტარდება რეალური ღონისძიებები ამგვარი ქმედების დანაშაულის პირველწყაროს დასჯის მიზნით. სისხლისამართლებრივი დევნა ფრაგმენტულად იწყება ადამიანების მიმართ მასალის ინტერნეტში ატვირთვის გამო, მაშინ, როდესაც პრინციპულად მნიშვნელოვანია პირადი ცხოვრების ამსახველი მასალის დამზადებასა და გავრცელების დაკვეთაში ბრალდებული პირების იდენტიფიცირება და პასუხისგებაში მიცემა. არსებული ვითარება არ ახდენს პრევენციას და ქმნის მომავალში მსგავსი დანაშაულების ჩადენის საფრთხეს. ამასთან, საკითხის აქტუალურობის და სიმწვავის მიუხედავად, საზოგადოებისთვის არ არის ცნობილი, რა მოქმედებები ტარდება პირადი ცხოვრების ამსახველი მასალის დამზადების და პირველად გავრცელების შესახებ ეფექტიანი გამოძიების მიზნით.

გემოაღნიშნულის გათვალისწინებით, **საია მოუწოდებს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს და საქართველოს პროკურატურას, ეფექტიანად გამოიძიოს სადავო პირადი ცხოვრების ამსახველი მასალის დამზადების და გავრცელების დაკვეთის ფაქტები.**

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია
GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION

